განმცხადებელი : იზა მათითაიშვილი

თარიღი : 25-08-2024

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 5;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ტელეკომპანია მთავარი არხის ჟურნალისტები მათ შორის ირაკლი ბახტაძე

სადავო მასალა : ტელეკომპანანია მთავარი არხის საინფორმაციო გამოშვება 27.07.2024 https://www.facebook.com/watch/?v=376071997419882 8&rdid=8J10KNUNVog37Kmk ტელეკომპანანია მთავარი არხის საინფორმაციო გამოშვება 28.07.2024 https://www.facebook.com/watch/?mibextid=oFDknk&v=3670666399850575&rdid=aAx6pXkS3qRcUvU1 ტელეკომპანანია მთავარი არხის საინფორმაციო გამოშვება 06.08.2024 https://www.facebook.com/watch/?mibextid=D5vuiz&v=505241228724697&rdid=bxQqFyyp3adkBZj2

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : ჟურნალისტი უთითებს თითქოს მოქალაქე ყვება რომ ის არის დასაქმებული სოფლის სასაფლაოს დამლაგებლად და სწორედ ამ მოქალაქეს სოფლის რწმუნებული იზა მათითაშვილი აიძულებს საცხოვრებელი სახლის დალაგებას, საკარმიდამო ტერიტორიების დალაგებას და საცხოვრებელი სახლის დასუფთავებას, ასევე უთითებენ თითქოს იზა მათითაიშვილმა იძულებით და მოტყუბით წაიყვანა მოქალაქე აქციაზე, ასევე უთითებენ თითქოს მერიაში შესულია 54 მოქალაქის განცხადება აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით და სხვა მრავალ ცილისმწამებლურ ინფორმაციას რაც არ შეესაბამება რეალობას. საზოგადოებას აწვდიან გადაუმოწმებელ და არასწორ ინფორმაციას. ასევე ჟურნალისტი ამახინჯებს ფაქტებს. მთავარ არხს და მის ჯურნალისტებს ჯერ უნდა გამოეკვლია ფაქტები და შემდგომ გაეშვა სიუჟეტი, რადგან საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 1-ლი, მე-3 მუხლების თანახმად ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა. ასევე მათ დაარღვიეს ქარტიის მე-11 მუხლი მათ ფაქტები გაზრახ დაამახინჯეს ვითარების გამწვავების მიზნით. კერძოთ ჟურნალისტი უთითებს თითქოს იზა მათითაიშვილი აიძულებს მოქალაქეს საკუთარი საცხოვრებელი სახლის და კარმიდანოს დალაგებას და დასუფთავებას თუმცა თავად რესპოდენტი საუბრობს არა იზა მათითაიშვილის არამედ მისი ძმის მხოლოდ ეზოს დასუფთავებაზე. ისინი ასევე უთითებენ თითქოს მათი სიუჟეტის შემდგომ 54 მოქალაქემ მიმართა მერს განცხადებით. თუმცა მერიაში ფიქსირდება მხოლოდ 1 მოქალაქის განცხადება და განცხადებაში მითითებული პრეტენზია ძირითადად ეხება სასმელ წყალტან დაკავშირებულ პრობლემას. რისი გადამოწმებაც ჟურნალისტებს შეეძლოთ. ჟურნალისტებს არც კი უცდიათ არცერთი მათ მიერ მითითებული ფაქტის გადამოწმება. მათ შორის უთითებენ თითქოს იძულებით წაიყვანა მოქალაქე აქციაზე, თითქოს იზა მათითაიშვილი ურეკავდა და

ემუქრებოდა, თუმცა არც უცდიათ მოეძიებინათ ამის დამადასტურებელი საბუთი, თუნდაც მოქალაქის ტელეფონზე განხორციელებული ზარების ამონაწერი. ასევე არცერთ მათ მიერ გაშუქებულ ფაქტზე არ უცდიათ ინფორმაციის გადამოწმება და აღნიშნული სიუჟეტები ემსახურებოდა მხოლოდ იმა მათითაიშვილის პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის შელახვას. ჟურნალისტი ფაქტების გადამოწმებას ავალდებულებს სახელმწიფო უწყებებს თუმცა ტავის მხრივ მასაც ქონდა ვალდებულება სიუჟეტის გაშვებამდე გადაემოწმებინა აღნიშნული ინფორმაცია.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები